ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №54/01-01, 12.04.2016წ.
დანართი №1

2016-2017 სასწავლო წლისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის ფარგლებში სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2016/2017 სასწავლო წლისთვის.

2. კანდიდატი

კანდიდატები შეირჩევიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. კანდიდატების შერჩევა

აკადემიური პერსონალი:

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიის მიერ დოკუმენტაციის განხილვის გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. სამუშაო გეგმა
2. მოტივაცია

ბ) დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზნით საკონკურსო კომისიამ, შესაძლოა, მოითხოვოს კანდიდატებთან გასაუბრება.

ადმინისტრაციული პერსონალი:

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიის მიერ გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. სამუშაო გეგმა
2. მოტივაცია

4. კომისიის შეფასება

ა) კანდიდატების შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

5. კანდიდატების გამოვლენა

კანდიდატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიისა და მასპინძელი უნივერსიტეტის საბოლოო შეფასების საფუძველზე.